კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციისას განშლის მექანიზმის გამოყენება ქვეყნების მიხედვით

	ქვეყანა	განშლის მექანიზმის კონკრეტული ასპექტები
1)	გერმანია	კონკურენციის შეზღუდვების საწინააღმდეგო კანონის („GWB“) 41-ე პარაგრაფი ითვალისწინებს განშლის მექანიზმს. აღნიშნული პარაგრაფის მე-3 პუნქტის მიხედვით, უკვე დასრულებული კონცენტრაცია, რომელიც GWB-ის 36-ე პარაგრაფის პირველი პუნქტში მოცემული დაუშვებელი კონცენტრაციის წინაპირობებს აკმაყოფილებს, ექვემდებარება განშლას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონცენტრაციასთან დაკავშირებით სპეციალური ნებართვა იქნა გაცემული ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროს მიერ.
2)	უნგრეთი	უნგრეთის კონკურენციის კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია განხორციელდა კანონში მოცემული მოთხოვნების დარღვევით, უნგრეთის კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია კონკურენციისთვის ზიანის მომტანი ეფექტების აღმოსაფხვრელად და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს აღსადგენად მოახდინოს ეკონომიკური აგენტის ან მისი ნაწილის, შეძენილი აქტივებისა და წილების გასხვისების უზრუნველყოფა ან ერთობლივი კონტროლის შეწყვეტა.
3)	პოლონეთი	კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ აქტის 21-ე მუხლი ითვალისწინებს განხორციელებული კონცენტრაციის დაშლას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი კონკურენციის ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოახდინოს შერწყმის შედეგად წარმოშობილი სუბიექტის დაშლა, მოახდინოს წარმოშობილი სუბიექტის ქონების ან აქტივების მთლიანად ან მისი ნაწილის გასხვისება და ა.შ. ასევე, როდესაც საქმე ეხება წილების შეძენის საფუძველზე განხორციელებულ კონცენტრაციას, შესაძლებელია კონკურენციის ორგანომ იზრუნოს ამ წილების იმ ოდენობით გასხვისებაზე, რომელიც აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციისას განშლის მექანიზმის გამოყენება ქვეყნების მიხედვით

4)	შვეიცარია	კარტელებისა და კონკურენციის სხვა სახის შეზღუდვების შესახებ შვეიცარიის ფედერალური აქტის 37-ე პარაგრაფის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ განხორციელებული კონცენტრაცია არღვევს კანონით დაგდენილ აკრძალვებს, კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტებს, მიიღონ ყველა ზომა, რათა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს აქტივების სავალდებულო საჯარო შეთავაზება. ამასთან მუხლში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ის ალტერნატივები, რომელსაც შეუძლია მიმართოს კონკურენციის ორგანომ. კერძოდ: შერწყმის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური აგენტის განშლა; მოპოვებული კონტროლის შემცირების უზრუნველყოფა; სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიანი კონკურენციის აღდგენას.
5)	დანია	კონკურენციის შესახებ დანიის კანონის მე-12g მუხლის მიხედვით, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყება უფლებამოსილია აკრძალოს უკვე განხორციელებული კონცენტრაცია. ამ მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიკური აგენტის იმ აქტივების გამოყოფა, რომელიც იქნა შეძენილი. ამასთან, შესაძლებელია ერთობლივი კონტროლის განხორციელების აღკვეთა ან ნებისმიერი ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც მოწოდებულია აღადგინოს ეფექტიანი კონკურენული გარემო.
6)	ხორვატია	კონკურენციის შესახებ ხორვატიის კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები: 1) მოითხოვოს შეძენილი წილების გასხვისება; 2) აკრძალოს ან შეზღუდოს წილებთან დაკავშირებული ხმის უფლება; 3) მოითხოვოს ერთობლივი საწარმოს განცალკევება.
7)	სერბეთი	სერბეთის კონკურენციის კანონის 67-ე მუხლი კონკურენციის კომისიას აძლევს შესაძლებლობას, გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად და შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შესანარჩუნებლად. ასეთ

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციისას განშლის მექანიზმის გამოყენება ქვეყნების მიხედვით

		ღონისძიებებს შესაძლებელია წარმოადგენდეს ეკონომიკური აგენტის დაყოფა, წილებისა და ფასიანი ქაღალდების განკარგვა, ხელშეკრულების შეწყვეტა და ა.შ.
8)	პორტუგალია	პორტუგალიის კონკურენციის კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უკვე განხორციელებულ კონცენტრაციასთან მიმართებაში კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს აღდგენას. კერძოდ: მოახდინოს საწარმოს დაშლა/განცალკევება, შეძენილი წილების გასხვისება, კონტროლის შეწყვეტა და ა.შ.
9)	ესპანეთი	ესპანეთის კონკურენციის კანონის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ყველა საჭირო ზომა რათა მოხდეს ეფექტიანი კონკურენციის აღდგენა, მათ შორის მოახდინოს ეკონომიკური აგენტების დეკონცენტრაცია იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია უკვე განხორციელებულია.
10)	საფრანგეთი	საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის (Commercial Code of France) L430_8 მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების გარეშე, ეკონომიკის მინისტრს შეუძლია შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს დაუწესოს სანქციები და ამასთან, მოსთხოვოს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უწყება მოითხოვს კონცენტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.
11)	ევრორეგულაცია კონცენტრაციასთან დაკავშირებით (EU Merger Regulation)	რეგულაციის **მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით** კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ეკონომიკური აგენტებისაგან მოითხოვოს განშლა და აღადგინოს შერწყმამდე არსებული მდგომარეობა (შერწყმის შემთხვევაში) ან მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტებს შეძენილი წილებისა და აქტივების გასხვისება. გარდა ამისა, რეგულაცია კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას, ასევე გამოიყენოს სხვა მექანიზმებიც, რომელიც უზრუნველყოფს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.